ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი

„სპაერი“

ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ადრესატი: ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „სპაერი"

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „სპაერი"-ს (შემდგომში *„კლუბი"* ან/და *„ლიცენზიის მაძიებელი"*) სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული საბალანსო უწყისისგან, მოგება-ზარალის უწყისისგან, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისისგან, ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯების ანგარიშგებისგან და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „სპაერი"-ს ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსური შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ პერიოდისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტის წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად არის აღწერილი ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"-ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბის „სპაერი"-სგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს), პროფესიონალ

ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს.

გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითადი საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენს მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენს მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კლუბის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, სადაც აუცილებელია გახსნას ინფორმაცია საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს მსგავსი პრინციპი იქამდე, ვიდრე ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კლუბის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს აღნიშნული.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ზედამხედველობა გაუწიონ კლუბის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი, რომ აუდიტის საერთაშორისო

სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს არსებითი უზუსტობის აღმოაჩენას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი არსებითია თუ მოსალოდნელია, რომ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად გავლენას იქონიებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტი, ჩვენ ვინარჩუნებთ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს მთელი აუდიტის განმავლობაში. ჩვენ აგრეთვე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას. ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის წარმოება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორის დასკვნაში ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე ან თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამის მიუხედავად, შემდგომში გამოვლენილმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კლუბის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს საქმიანობის შეწყვეტა;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს;
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხიმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილ მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

მურად ჯობავა (*SARAS-A-317706*)

შპს ჯ.ბ. აუდიტის" სახელით

თბილისი, საქართველო

მურად ჯობავა

9.03.2021

სააღრიცხვო პოლიტიკა და სპეციალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი"სპაერი" (შემდგომში „კლუბი") რეგისტრირებულია 2017 წლის 7 მარტს. მარეგისტრირებელი ორგანი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი: 406203558

„კლუბი"-ს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი ისანი-სამგორის რაიონი, ყვარელის ქ.N 160.

„კლუბი"-ს ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს საფეხბურთო საქმიანობა, ფეხბურთელთა წრთვნები და ტურნირებში მონაწილეობა.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

1.1 წადგენის საფუძველი

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „სპაერი"-ს ფინანსური ანგარიშგება მოიცავს პერიოდს 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებული და წარდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, რომელიც წარმოადგენს კლუბის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა დამრგვალებულია სრულ ლარებამდე.

კლუბის მიერ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში წარდგენის მიზნით. დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 15 თებერვალი.

შენიშვნა 2: მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები: შესაბამისობის პრინციპი:

2.1 აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და

საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SME) 2020 წლის 31 დეკემბერი მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო საარღიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB-ის) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ამასთან ანგარიშგება ითვალისწინებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კლუბების ლიცენზირების მოქმედი დებულების 48,49,50 და 501-ე მუხლების მოთხოვნებს ანგარიშგების წარდგენის შესახებ.
ფინანსური ანგარიშგება შედგება საბალანსო უწყისისგან, მოგება-ზარალის უწყისისგან, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისისგან, ახალგაზრდული ფერხბურთის განვითარების ხარჯების ანგარიშგებისგან და განმარტებითი შენიშვნებისგან.

2.2 შეფასების საფუძველი:

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების მეთოდი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

2.3 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება:

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების ზარალიანობა და დამფუძნებლების მიერ დამატებითი დაფინანსების განხორციელება სულ მცირე სალიცენზიო სეზონის დასრულებამდე.

შენიშვნა 3. ფული და ფულის ექვივალენტები:

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში.ეს მუხლი ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარავად ან სხვა ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე, როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

შენიშვნები 4: მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.
მარაგი ხარჯად აღიარდება, როდესაც მოხდება კლუბის მიერ მისი გამოყენება კლუბის საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე.

შენიშვნა 5. მიღებული გრანტების და სახელმწიფო დაფინანსების აღრიცხვა, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

მიღებული გრანტები და სახელმწიფო დაფინანსება შემოსავლად აღიარდება როდესაც ყველა შესასრულებელი პირობა შესრულებულია ან გრანტი არ მოითხოვს მომავალში პირობების შესრულებას. გრანტები აღიარდება მიღებული ან მისაღები აქტივის რეალური ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნის მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენა დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

შენიშვნა 6. ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებები აღირიცხება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

ძირითადი საშუალებების თვითღირებულება შედგება შესყიდვისა და მშენებლობის ფასისაგან, მასთან დაკავშირებული საიმპორტო გადასახადებისგან (დაბრუნებადი გადასახადების გარდა) ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე და ნებისმიერი დანახარჯისაგან, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება, ჩანაცვლებული ნაწილი კი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული წმინდა შედეგი ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

შენიშვნა 7: ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივების ცვეთადი ღირებულების განაწილებას სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების განმავლობაში.
ძირითადი საშუალებების ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:
ოფისის აღჭურვილობა ---------- 5 წელი;
სხვა აქტივები ---------- 5 წელი;
არამატერიალური აქტივები ---------- 7 წელი;

შენიშვნა 8: ნარჩენი ღირებულება
ძირითადი საშუალების ნაღჩენი ღირებულება არის შეფასებითი თანხა, რომელსაც საწარმო ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვისათვის საჭირო შეფასეული დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივს უკვე ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ასაკი და მდგომარეობა.
ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და შეიცვლება საჭიროების შემთხვევაში.

შენიშვნა 9: არამატერიალური აქტივები

ფეხბურთელის რეგისტრაციის/შეძენის ხარჯი ასახულია არამატერიალური აქტივების სახით და ამორტიზირებულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოშვებული კლუბების ლიცენზირების დებულებების დანართი IV-ს მიხედვით.

შენიშვნა 10: შემოსავლისა და ხარჯების აღიარება

კლუბის დამფუძნებლებისგან შემოწირულობების სახით მიღებული ფულადი აქტივი შემოსავლად აღიარდება მისი მიღებისთანავე. შემოწირულობის სახით მიღებული არაფულადი აქტივები მათ განკარგვაზე უფლების მირებისთანავე აღირიცხება ფონდის სახით. არაფულადი აქტივები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით და აისახება კლუბის ბალანსზე.
საფეხბურთო კლუბი ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც კლუბს წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

შენიშვნა 11: მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლოს თანახმად გამომდინარე იქიდან, რომ ა.ა.ი.პ საფეხბურთო კლუბი „სპაერი" არ ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მას არ წარმოეშობა მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (ორგანიზაციების) მიერ, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:
ა)გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან ან/და არ გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნებიდან;
ბ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურება გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, თუ ეს არ გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნებიდან;
გ) კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი;
მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი, ხოლო მოგების გადასახადიტ დასაბეგრი ტანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85 გაყოფის შედეგად.

შენიშვნა 12: პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღირიცხება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

შენიშვნები 13: მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კლუბის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებებზე და მათ შესაბამის შენიშვნებსა და

პირობითი ვალდებულებების შენიშვნებზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგები, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს მომავალ პერიოდში.

შენიშვნა 14: ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	31.12.2020	31.12.2019
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1	176
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	**1**	**176**

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები სადაც კომპანიის მიმდინარე ანგარიშები აქვს არის სანდო და საყოვეთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არა სარისკო.

შენიშვნა 15: სხვა საოპერაციო ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი

ხარჯები		
ხელფასისა და სოციალური დანარიცხების ხარჯი	271100	181359
სამედიცინო მომსახურების ხარჯი	1565	525
სპორტული ეკიპირებისა და ინვენტარის ხარჯი	38588	42978
ფედერაციის საწევრო და რეგისტრაციის ხარჯები	3900	14950
სხვა ხარჯი	20892	10514
სპორტული ფორმების ბრენდირების ხარჯი	0	1100
აუდიტის მომსახურების ხარჯი	10400	2000
საბანკო მომსახურების ხარჯი	250	226
ცვეთის ხარჯი	612	0
ფინანსური ჯარიმები	400	251
ჯამი	**347707**	**253903**

შენიშვნა 16: COVID 19 - ის გავლენა

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო დადგა მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების საფრთხის წინაშე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია გამოაცხადა. მსოფლიოსა და საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რიგი ღონისძიებები, მათ შორის გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და კომენდატის საათი.

COVID-19-ის პანდემიის გამო მარტის დასაწყისში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ქვეყანაში ყველა დონეზე საფეხბურთო ჩემპიონატის შეჩერების გადაწყვეტილეება მიიღო. ამასთან, ფედერაციის გადაწყვეტილებით საქართველოს ჩემპიონატის ეროვნული ლიგის, მეორე, მესამე და მეოთხე ლიგების გუნდები გათავისუფლებული იქნენ 2020 წლის საწევრო გადასახადისგან. კლუბები აღნიშნული თანხების გამოყენებას შეძლებენ პანდემიის გამო დაწესებული რეკომენდაციების შესასრულებლად.

საქართველოს ეროვნული (უმაღლესი) ლიგის ჩემპიონატი 2020 წლის 25 ივნისიდან განახლდა.

კლუბი:

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი "სპაერი"

საბალანსო უწყისი	31.12.2020	31.12.2019
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	1	176
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება		
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება		
სხვა დებიტორული დავალიანება		
საგადასახადო აქტივები		
მატერიალური მარაგები		
სხვა მიმდინარე აქტივები		
მთლიანი მიმდინარე აქტივები	**1**	**176**
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2,448	
არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები		
არამატერიალური აქტივები - სხვა		
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება		
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება		
საგადასახადო აქტივები	501	649
ინვესტიციები		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	**2,949**	**649**
მთლიანი აქტივები	**2,950**	**825**
მიმდინარე ვალდებულებები		
ბანკის ოვერდრაფტები		
ბანკის და სხვა სესხები		
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება		
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება		
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება		
დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი		
მოკლევადიანი ანარიცხები		
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	-	790
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	**-**	**790**
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ბანკის და სხვა სესხები		40,000
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება		
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება/სესხები		
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები		
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება		
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		
გრძელვადიანი ანარიცხები		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	**-**	**40,000**

კლუბი:
ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი "სპაერი"

საბალანსო უწყისი	31.12.2020	31.12.2019
სულ ვალდებულებები	-	40,790
მთლიანი აქტივები / (ვალდებულებები)	2,950	(39,965)
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო/საწესდებო კაპიტალი	(39,965)	
გაუნაწილებელი მოგება	42,915	(39,965)
სხვა რეზერვები		
მთლიანი საკუთარი კაპიტალი	**2,950**	**(39,965)**
მთლიანი საკუთარი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები	2,950	825
კონტროლი (მთლიანი აქტივები = მთლიანი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები)	TRUE	TRUE
მთლიანი კაპიტალის შესაბამისობის შემოწმება		
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საწყისი ბალანსი	(39,965)	(47)
პერიოდის მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდგომ	42,915	(39,918)
კაპიტალის გაზრდა/კონტრიბუცია საკუთარ კაპიტალში		
ცვლილება გადაფასების რეზერვში		
სხვა მოძრაობები საკუთარ კაპიტალში/რეზერვებში პერიოდის განმავლობაში		
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საბოლოო ბალანსი	2,950	(39,965)
შემოწმება	TRUE	TRUE
მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯები		
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში		
პერიოდის განმავლობაში გაწეული დანახარჯი		
დაგროვილი დანახარჯის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად		
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს	-	-
მოთამაშეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია		
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში		
პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა	-	-
დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად		
გაუფასურების ანარიცხები პერიოდში	-	-
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს	-	-
ნეტო საბალანსო ღირებულება		
პერიოდის დასაწყისში	-	-
პერიოდის ბოლოს	-	-
შემოწმება	TRUE	TRUE

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]- თვის: 2/15/2021

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):
აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ ჯავახიშვილი თარიღი: 2/15/2021

კლუბი:

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი "სპაერი"

მოგება-ზარალის უწყისი	31.12.2020	31.12.2019
ამონაგები ბილეთებიდან - ეროვნული შეჯიბრებები		
ამონაგები ბილეთებიდან - უეფას შეჯიბრებები		
ამონაგები ბილეთებიდან - აბონემენტები		
ამონაგები ბილეთებიდან - საწევროები		
ამონაგები ბილეთებიდან - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ ამონაგები ბილეთებიდან	-	-
სპონსორობა და რეკლამა - დამამზადებელი/მწარმოებელი სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - სტადიონის სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე		
სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ სპონსორობა და რეკლამა	-	-
ტელეტრანსლაციის უფლებები - ეროვნული შეჯიბრებები		
ტელეტრანსლაციის უფლებები - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ ტრანსლაციის უფლებები	-	-
კომერციული - ეროვნული შეჯიბრებები		
კომერციული - საქონლის გაყიდვა		
კომერციული - ინფრასტრუქტურის გამოყენება არასამატჩო დღეებში		
კომერციული - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ კომერციული	-	-
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები		
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი		
უეფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი		
სულ უეფას სოლიდარობის და საპრიზო თანხა	-	-
სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან	302,800	162060
სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან		
შემოწირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან	20,000	
შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან	62,035	51925
შემოსავალი არასაფეხბურთო საქმიანობებიდან		
განსაკუთრებული (გამონაკლისი) შემოსავალი		
სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი	5,787	
სულ სხვა შემოსავალი	**390,622**	**213,985**
სულ შემოსავალი	**390,622**	**213,985**
რეალიზებული პროდუქციის/მასალების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი		
სულ ხარჯები რეალიზებულ პროდუქციაზე/მასალებზე	-	-
ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება	(178,700)	(136,011)
ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(53,792)	(40,925)
ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი		
სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები	**(232,492)**	**(176,936)**

კლუბი:

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი "სპაერი"

მოგება-ზარალის უწყისი	31.12.2020	31.12.2019
სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება	(29,675)	(3,400)
სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(8,933)	(1,023)
სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი		
სულ სხვა თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	**(38,608)**	**(4,423)**
თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არა არის გამოყოფილი		
სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	**(271,100)**	**(181,359)**
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(612)	
სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა)		
ძირითადი საშუალებების და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურება		
სულ ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციებისა)	**(612)**	**-**
მატჩის დღის ხარჯები	(11,310)	(10,514)
სპონსორობისა და რეკლამირების ხარჯები		
კომერციული აქტივობების ხარჯები		
უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები		
არასაფეხბურთო საქმიანობების ხარჯები		
განსაკუთრებული (გამონაკლისი) ხარჯები		
სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	(64,685)	(62,030)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	**(75,995)**	**(72,544)**
სულ საოპერაციო ხარჯი (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)	**(347,707)**	**(253,903)**
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		
მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		
ზარალი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		
წმინდა შედეგი ფეხბურთელების გაყიდვებიდან კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებით	**-**	**-**
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/გასვლიდან		
მოგება/(ზარალი) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან		
სულ მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან	**-**	**-**
ფინანსური შემოსავალი		
ფინანსური ხარჯი		
წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	**-**	**-**
სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)		
სხვა ხარჯი (არასაოპერაციო)		
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)	**-**	**-**
საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ	**42,915**	**(39,918)**

კლუბი:
ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი "სპაერი"

მოგება-ზარალის უწყისი	31.12.2020	31.12.2019
დივიდენდები		
მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდეგ	42,915	(39,918)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის: 2/15/2021

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):
აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ ჯავახიშვილი თარიღი: 2/15/2021

კლუბი:

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი "სპაერი"

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	31.12.2020	31.12.2019
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	42,885	(44,535)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფეხბურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		
მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები		
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		
ძირითადი საშუალებების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები	(3,060)	
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი		
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან	**(3,060)**	**-**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე		
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე		
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - საფინანსო დაწესებულებები		
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - საფინანსო დაწესებულებები		
სააქციო/სანესდებო კაპიტალის გაზრდით მიღებული ფულადი სახსრები		
(გადახდილი) ფულადი სახსრები მეწილეებისთვის/აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდიდან		
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	(40,000)	40000
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან	**(40,000)**	**40,000**
სხვა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა)		
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საანგარიშგებო პერიოდში	**(175)**	**(4,535)**

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეკონსილაცია

საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ბალანსი	176	4711
წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	(175)	(4,535)
საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ბალანსი	1	176
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გამოკლებული ბანკის ოვერდრაფტები (საბალანსო უწყისიდან)	1	176

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის: 2/15/2021

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ ჯავახიშვილი თარიღი: 2/15/2021

კლუბი:
ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი "სპაერი"

ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი	31.12.2020	31.12.2019	კომენტარი
ხარჯები			
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები, იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც სრულად არიან ჩართული ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში			
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (18-წლამდე)			
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (19-დან 21-წლამდე)			
საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის ხარჯები (ფეხბურთელების საცხოვრებელი , სასტუმროები და სხვ.)			
სამედიცინო დანახარჯები (სამედიცინო მომსახურება, რეაბილიტაცია, ვიტამინიზაცია)			
აფგ პროგრამაში ჩართულ პირთა (მწვრთნელები, ფეხბურთელები) სწავლის გადასახადი			
აფგ პროგრამით გათვალისწინებული მივლინებები (ტრანსპორტირების ჩათვლით)			
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სადღეღამისო დანახარჯები			
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სპორტული ფორმა, ეკიპირება და ინვენტარი			
აფგ პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ხარჯი (ახალგაზრდული გუნდების სავარჯიშო და სათამაშო სტადიონი და/ან ბაზა - მშენებლობა / მოვლა / ქირა; ოფისის კომუნალური გადასახადები / ქირა)			
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების ტურნირებში მონაწილეობის გადასახადი	2,900		ს.კ სპაერის გუნდების მონაწილეობის გადასახადი
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების საქმიანობაზე უშუალოდ მისაკუთვნებელი სხვა დანახარჯები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში! (მაგ.: ოპერატორი და სხვ.)			
სულ აფგ პროგრამის ხარჯები	2,900	-	
შემოსავლები			
უშუალოდ აფგ პროგრამის მთლიანი შემოსავალი (სწავლებისა საფასური, საწევროები და ა.შ.)	4,997		სწავლის გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი
უეფადან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის			
სფფ-დან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის			
სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის			
ახალგაზრდული ფეხბურთისთვის მისაკუთვნებელი სხვა შემოსავლები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში!			
უშუალოდ აფგ პროგრამისთვის მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	4,997	-	
წმინდა შედეგი	2,097	-	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის იურიდიული ერთეულის უფლებამოსილი პირის მიერ:
უფლებამოსილი პირი: ზურაბ ჯავახიშვილი
თარიღი: 2/15/2021

ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულია აუდიტორული კომპანიის მიერ:
აუდიტორული კომპანია: ჯ.ბ.აუდიტი
უფლებამოსილი წარმომადგენელი: მურად ჯობავა
თარიღი: 9.03.2021